

54
1937

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

თქტომბერი





№ 8
აგვისტო
1937 წ.

წელიწადი 34-11
საბ. კ. პ. (ბ) ც. პ-ის ბაზ. „კომუნისტი“
რედაქ. მისამართი: ტფილისი, გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-32-61

ოქტომბრული

საბ. კ. პ. ც. ცემას და საბ. ბანსახმომის მკითხველთა მრგობარი

შინაარსი

1. ილია სინარულშიძე — ძია შშიღტი (ლექსი)	გვ. 1.
2. დოდორე ძორაძე — კოლა (ხელობრი)	2.
3. ქალაქიან დედებანი — შიში და ბროლია (მოთხრობა)	6.
4. მიმდრალი — რა კარგი გოგონაა! (ლექსი)	8.
5. ნოე ლაფნაძე — მელია (ლექსი)	9.
6. ლაფნაძე ბიჭინაძე — თამუნა (მოთხრობა)	10.
7. სანდრო ძღვინი — წიწია (ლექსი)	12.
8. შალვა მარინაშვილი — ხამი მგობარი (ნარკვევი)	13.
9. ნინო გოგუაძე — არაჩუქულებრივი წვიმები (ნარკვევი)	16.
10. იზა რევაზიანი — ბატარა ამხანაგები (მოთხრობა)	გარეკანის მე-3 გვ.
11. თამარ შავერიაშვილი — ნანა (ნოტი)	გარეკანის მე-4 გვ.

ქრნალი გაუორმებულა მხატვარ ივ. ჯავახიშვილის მიერ.

პ/მგ. რედაქტორი ბაბო ბაბინაშვილი პ.მგ. მდივანი. ლ. ბიჭინაძე

ძია შმიდტი




ოგორ მომწონს ძია შმიდტი,
ცაში ფრინავს როგორც ჩიტი,
თვითმფრინავში ჯდება შშილი
და შორს, შორს, შორს მიდის, მიდის!


რა კარგია ძია შმიდტი!
როგორ შეენის წვერი დიდი!
შემოისხამს გმირ მფრინავებს
და შორს, ზევით, ზევით მიდის,
ასცილდება მთებს და ღრუბლებს,
ცის სიღრმეში გზები გაჰყავს!
ძიას რომ ჰყავს მფრინავები,
მსგავსი ქვეყნად არვის არ ჰყავს!

როგორ მიყვარს მე დიდწვერა
მომღიმარი ოტო ძია!
ცის გულმკერდი გადასერა,
ჩრდილო პოლუსს მიაღწია,
სადაც თოვლს და ყინულს სძინავს,
ჩენი დროშა იქ ასწია

და უკაცურს ცივ პოლუსზე
რა სიცოცხლე გააჩაღა!
ის ქვეყანა, მან რომ ნახა,
ჯერ არავის არ უნახავს!
ძიას რომ ჰყავს მფრინავები,
მსგავსი ქვეყნად არვის არ ჰყავს!



2008





(ზ ღ ა პ ა რ ი)

ყოფილა, ყოფილა და ყოფილა კოლხიდის ქაობი. ქაობის უარესი რა იქნებოდა. ყოფილა ერთი კოლო და ცხოვრობდა კოლხიდის ქაობში. მზეზე ფრენა არ უყვარდა კოლოს, ჩეროს ეტანებოდა. წინწკლებიანი კაბა ეცვა კოლოს და მუდამ თავდაღმა იჯდა. კოლო მუდამ იმას ფიქრობდა ადამიანს როგორ ვუქბინოვო.

კოლოს მეზობლად ცხოვრობდა ბაყაყი. ბაყაყს ტანზე რუხი ჯუბა ეცვა, ჯუბაზე ლილეები ჰქონდა დაკრებული. ცხოვრობდა ბაყაყი ქაობში და ყიყინებდა. მიწაზე რომ ამოვიდოდა, თვალებს დაყვლიპავედა და იჯდა გამოლენჩებული, არაფერს ფიქრობდა.

ქაობის პირად ცხოვრობდა კაცი და მუშაობდა, მუშაობა რომ დალიდა, დასასვენებლად წამოწევებოდა. კოლოს წვივლსა და ბაყაყის ყიყინს რომ ვაიგონებდა, კაცი ბრაზდებოდა. კაცი მუდამ იმას ფიქრობდა: კოლომ არ მიკბინოს და ბაყაყმა არ შემაწუხოსო.

ერთხელ კაცი ძალზე დაიღალა და დასასვენებლად წამოწვა. უცებ ბაყაყი გამოხტა და ცივი თვალებით შეხედა კაცს.

— შენა ხარ, ძილს რომ მიფრთხობ? — და კაცმა ჯოხი მოუქნია ბაყაყს.

— ჭყლუმპ! — და ბაყაყი ჩახტა ქაობში.

ამ დროს კოლოს ფძინა. გამოეღვიძა. ეწყინა, რატომ გამაღვიძესო.

— ჩემი რა ბრალია? — უთხრა ბაყაყმა. — კაცმა შემაშინა, ჯოხი მომიქნია.



— მე ვაჩვენებ მაგ კაცს სვირს! — თქვა კოლომ. — მე აქ ბატონი ვარ, ვისვენებ და ვილაც გლენი უნდა მეურჩოს?

მიაფრინდა კოლომ კაცს და უკბინა.

გავიდა რამდენიმე დღე, და კაცი ავად გახდა. ზაფხული იყო, მაგრამ ყინვა-სავით გახდა კაცი. გარეთ ბული იდგა, კაცი კი ყვიროდა:

— მოკვდი! მკივა! მოიტათ საბანი! მოიტათ ნაბადი! ყველაფერი დამახურეთ, ყველაფერი! გამათბეთ!

კოტა ხნის შემდეგ კაცს სიცხე მისცა. კაცი ღმუროდა, ბორბავდა, ყვიროდა; გადაძრო კაცმა ნაბადი, საბანი, გაიხადა პერანგი. არ ვშველა.

— ვიწვი! ვევაი დედა! ვიწვი! წყალი! — იხვეწებოდა საწყალი.

სამი დღე და სამი ღამე ბორბავდა კაცი. მეოთხე დღეს ძლივს აითრია ფეხი. სად იყო მისი სიყოჩაღე! წითელი ლოყები გაყვითლდებოდა, მხიარული თვალები ჩაკვივდებოდა, გამართული წელი მოღუნდებოდა, მუცელი გასივებოდა, ფეხები დამძიმებოდა და თავი ებრუებოდა. გაიარ-გამოიარა ეზოში...

ერთი ცუნახით და მოფრინდა კოლომ კაცმა მოუქნია ნაშო. კოლომ დაიწვილა და უთხრა:

— შენი სისხლი უნდა დავლიო! შენი შვილების სისხლი უნდა დავლიო! და ქაობში ჩაფრინდა წივილ-წივილით.

2.

დაფიქრა კაცი. დღე ფიქრობდა, ღამე ფიქრობდა, კვირა ფიქრობდა, თვე ფიქრობდა. და გადაწყვიტა: უნდა მოვნახო კოლოს მომრევიო.

და გაუდგა გზას.

დღე იარა, ღამე იარა, ტყე იარა, მინდორი იარა. ერთ ტყეში ცხენის ქიხინი და მგლის ყმულილი შემოესმა. მივიდა. მგლები შემოსეოდნენ ცხენს. კაცი მიეშველა ცხენს. გაიქცნენ მგლები.



— რა მოგცე, მგლები რომ მომაშორე? — უთხრა ცხენმა კაცს.

— მიშველე, ბედაურო, კოლო დამაქვრინე! — სთხოვა კაცმა.

— ჰაი-ჰაი, რომ დაგაქვრინებდი, მაგრამ კოლოს ვერ მოვერევით, — უპასუხა ცხენმა. — შეხედე ჩემს თვალებს. გუგა გამყვითლდება. კოლომ მიკბინა და ციება დამმართა. ვერა, ბატონო, კოლოს ვერ მოვერევით.

დაღონდა კაცი და გაუდგა გზას. ერთს სოფელში ქორმა ჩამოიქროლა და წიწილას დაეცა. კაცმა ჯოხი ესროლა, ქორი გაფრინდა.

— სამაგიერო რა მოგცე შეილის დახსნისათვის? — უთხრა კრუხმა კაცს.

— კოლო დამაქვრინე. ვერა ხედავ, რა მიქნა ციებამ? — უპასუხა კაცმა.

— კრუხ! კრუხ! კრუხ! — ჩაიკრუხუნა კრუხმა. — ჩახედე ჩემს ყვითელ თვალებს. ვერა ხედავ, რა მიქნა კოლომ? მეც მიკბინა და ციება დამმართა. ვერა, ბატონო, კოლოს ვინ მოვრევია!

დაღონდა კაცი და გაუდგა გზას. ახლა სხვა სოფელში ჩავიდა, ეგებ იქ ვიპოვო კოლოს მომრევიო.

— კოლოს მომრევი? — გაუკვირდათ სხვა სოფელში. — ვერა, ძმაო, კოლოს მომრევი ჩვენ არა ვართ. ჩვენ თვითონ გვეშინია კოლოსი.

დაღონებული კაცი ერთ წაქცეულ ხეზე ჩამოჯდა. ხე გამხმარიყო და ქიანქველები დასეოდნენ. მხოლოდ ერთი მწვანე ტოტი შერჩენოდა ხეს. ქიანქველები მისციდნენ კაცს და დაქბინეს. კაცმა ქიანქველებიანი კანი ააძრო ხეს და შორს გადაისროლა.

— სამაგიერო რა მოგცე ქიანქველების მოშორებისათვის? — ჰკითხა მწვანე ტოტმა კაცს.

— კოლომ მიკბინა და ციება დამმართა, — უთხრა კაცმა მწვანე ტოტს, — კოლოს უნდა ვაჯობო, მასწავლე, რა ვქნა?

მწვანე ტოტმა გაიშრიალა და უთხრა:

— დღეაღმომი ისეთი მალალი იყო, ისეთი ფართოტოტებიანი, რომ მთელი სოფელი აქ აწყობდა კვირაობით ჯარს. კოლომ გვიკბინა და გაგვაცივა. გაგვაცივა და გაგვანხო. ხელავ, მარტო მე დავერჩი. არა, ბატონო, კოლოს მომრევი არაინება. განა არ გაგიგონია კოლხიდაში: ხეც მოკვდება, რომ გააცივბსო.

კიდევ უფრო დაღონდა კაცი და გაუღდა გზას.

3.

მიდის კაცი და მიდის დროც.

დღე იარა, ღამე იარა, ტყე იარა, მიწდორი იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ ქალაქს ჩავიდა. ქუჩაში ჩამოჯდა დასასვენებლად. ქუჩას არხი ჩაუდიოდა. არხში წელი წყალი დიოდა. წყალში ქინძისთავის ოდენა თევზები დატურაობდნენ. გაუკვირდა კაცს, ასეთი ბატარა თევზი არსად ენახა. იფიქრა, რა უცნაური თევზია, მოდი, ვკითხო, ეგებ ამან მიშველოსო.

— თევზო, თევზო, ქინძის თევზო, მიშველე რაზე, კოლომ დამკბინა, ციება დამმართა. შენ არ გეშინია კოლოსი?

თევზმა გაიცინა და უთხრა:

— კოლოსი რატომ უნდა მეშინოდეს? თვითონ კოლოს ეშინია ჩემი. მე კოლოს კვერცხებისაგან ერბო-კვერცხს ვაკეთებ. ძალზე გემრიელია. თქვენებურ ხაჭაპურს სჯობია.

გაეხარდა კაცს და ჰკითხა:

— გენაცვალე, თევზუნია, ვინა ხარ, საიდან ხარ, რომ კოლოს ერევი?

— მე გამბუზია მქვია, — უპასუხა ქინძის თევზმა, — შორიდან ჩამოველი.

— გენაცვალე, გამბუზია! მეც მასწავლე, როგორ ვიშოვო კოლოს კვერცხები.

— წყალში იცხოვრე და მაშინ დაგასწავლი, — უთხრა თევზმა.

— ისედაც ჭაობში ვცხოვრობ და კიდევ წყალში ჩავწვე? — დაწყდა კაცს გული.

— აბა რა გიყო? — უპასუხა ქინძის თევზმა. — მე შორიდან ჩამოველი საჭმლის საშოვნელად და ჩემი ლუკმა შენ დაგიტომო? ვერა, ძმაო, ვერ გიშველი. შენი გზით გასწი.

— შენს იქით გზა არა მაქვს! — შეეხვეწა ქინძის თევზს. — შენი ქირიმე, ქინძის თევზო!

ამ დროს არხში იხვი შემოატურდა. ქინძის თევზი გაიქცა და ბალახში ჩაიმალა. კაცმა იხვს დაუქმია. გაიქცა იხვი, ქინძის თევზი ისევ ამოატურდა.

— შენ აგიშენდა ოჯახი! — უთხრა კაცს ქინძის თევზმა, — შენ რომ არ ყოფილიყავი, იხვი შემკამდა. რამდენი ნათესავი გამიწყვიტა იმ გასაწყვეტმა! რადგან სიკვდილს ვადამარჩინე, კოლოს წამარს გასწავლი. მიანებე თავი კარდაკარ რულს, ნუ გაქვს სხვისი იმედი, შენ თვითონ შეგებრძოლე კოლოს.

— როგორ? როგორ? — წამოიძახა კაცმა.

— დაბრუნდი უკან, იქ ნახავ როგორ! — უთხრა ქინძის თევზმა, დააქნია ბოლო და გაკურდა.

4.

მიდის კაცი დღე იარა, ღამე იარა, ტყე იარა, მინდორი იარა, მიუახლოვდა თავის სოფელს. რაღაც ხმაურობა მოესმა. არც მგლის ყმუილს გავდა და არც ტურების ჩხავილს. აუნქარა ფეს. სოფლის თავში რომ მივიდა, ბაყაყი შეხვდა. ტანისამოსი შემოხეოდა ბაყაყს, საღლაც გარბოდა.

— რა ამბავია? — ჰკითხა კაცმა.

— შედი სოფელში და ნახავ, — უთხრა ბაყაყმა, დაყვლინა თვალი და გაიქცა.

შევიდა კაცი სოფელში და გაკვირვებისაგან პირი დააღო. სოფელთან, შიგ შუაგულ ტყეში, გემები იდგა და ბოლოავდა.



კაცმა ხელები მოისვა თვალეზზე, სიზმარში ხომ არ ვარო. დაინახა თავისი ეზო, თავისი სახლკარი, გაიგონა თავისი ძაღლის ყეფა და თქვა:

— ეს ჩემი სოფელია, ეს ჩემი ეზოა, ეს ჩემი სახლკარია, ეს ჩემი ძაღლია, მაგრამ რამ დააბერა? ტყეში გემები ვინ მოიყვანა?

დააკვირდა კაცი გემებს. გემები თხრიდნენ მიწას, შედიოდნენ ქაობში, და იქ, საღაც გაივლიდა გემი, შრებოდა ქაობი.

— ამხანაგო, ეი, ამხანაგო! — მოესმა კაცს, — რას დგახარ უსაქმოლ? დაგვეხმარე, ჩვენთან იმუშავე!

— ვინა ხართ? რა ხალხი ხართ, ტყეში რომ გემებით შემოსულხართ? — ჰკითხა კაცმა. — საღ ვაგონილა ტყეში გემები დაკურავდეს?

— ჩვენ კოლხიდის ქაობის ამომშრობი მუშები ვართ, — უპასუხეს კაცს. — ეს გემები ექსკავატორებია. ქაობს რომ ამოვამშრობთ, კოლო გაქრება და ციება მოისპობა. ახალ მიწაზე ბედნიერად იცხოვრებ.

— თქვენი გამარჯვებისა, ძმებო! — შესძახა კაცმა, — რამდენი ხანია ვეძებ კოლოს მომრევს! როგორ არ მოგვეხმარებთ!

დაიწყო კაცმა ქაობის ამომშრობა. უცებ ექსკავატორი რაღაცას მოედო და იმ რაღაცამ დაწანი გაადინა. არხში სისხლის რუ გამოჩნდა.

— ვავაი! ვავაი! — მოისმა საშინელი ღრიალი.

კაცი ჩამოხტა ექსკავატორიდან და რა დაინახა? დაინახა, რომ კოლოებისათვის მანქანას სიკოცხლე მოესპო.

— ჰატ, შეჩვენებულნი! — შესძახა კაცმა. — ჩემი სისხლია ეს! ხომ ვაჯობე, კოლოვ! ხომ ამოვავდებ შენს ბუნავს!

და შესძახა კაცმა მხიარული სიმღერა. ტკბილი იყო შრომა და ხალისიანი ახალი მიწა.

გუშინ იქ ვიყავი,
დღეს აქ მოველი.
სამი ვაშლი, სამი ბროწეული,
გაისად კიდევ თქვენსას მოწვეული...

მიმი და ბროლია



დიდი მტრები არიან ერთმანეთის მიმი და ბროლია. პატარა ალდემ ვერ მოახერხა მათი შერიგება.

არ მოსწონს მიმის ბროლიას აბეზარი ქცევა. დღესაც ფანჯრის რაფაზე წამოწოლილი მიმი შურის თვალით უყურებს პატრონთან მოთამაშე ბროლიას.

— შე, რამდენი რამე გამიხდა სადარდელი, რაც ეს აბეზარი ჩვენთან შემოვიდა! ნეტა რა მოსწონთ ამ მახინჯის? ვიცოდე მაინც, რით მჯობია? თეთრია და ულახათო, გაბურძნული, ერთბაშად მისი თეთრი გაბურძნული თმა არ შეედაროს მიმის ლამაზ სამფერ ქათიბს! მერე როგორი სუფთაა მიმი, მთელი დღე ილამაზებს თავის ლამაზ ქათიბს. მტერის ნასახიც არ მოიპოვება მის კობტა ტანსაცმელზე. ის აბეზარი კი ნეტა იცოდეთ როგორ ამოიგანგლებს ხოლმე, შეხედვა შეგეზარებათ. პატრონი მაინც მიუაღერსებს, აბანებს, ასუფთავებს, დაატარებს. ერთხელ რა არის, ერთხელაც არ დასკირებია მიმის დაბანა. დახე, ოდნავაც არ უმადლიან! მიმიმ კვლავ შურით გადახედა მაგიდის ირგვლივ მორბენალ ალდეს, მის თეთრ ბროლიას. სახელიც ლამაზი დაარქვეს ამ უშნოს, ძილსაც არ დაგაცლის ეს აბეზარი!

— ფუ, ფუ, გენაცვათ, ერთი შეხეთ, როგორ ამტვერეს აქაურობა, ხომ დამემტვერა ჩემი კობტა ქათიბი, მიმიმ ზურგი შეაქცია ლეკვს და ხელ-პირის ბანას მიჰყო ხელი.

— ა, ა, მიმი პირს იბანს, მიმი პირს იბანს, — შესძახა გამახიარულებულმა ალდემ. მიმის წინ ვაჩერდა, ტაში შემოკრა, — მიმი, აქეთ მოიხედე, ხვალ თუ კარგი დარია, მიმი, აქეთ მოიხედე, ხვალ თუ კარგი დარია. მიმის იამა პატრონის მოაღერსება, უნდოდა შეესრულებინა ალდეს თხოვნა, მაგრამ ალდესთან ერთად ეს აბეზარი ბროლიაც მოვარდა, ისე შეჰყეფა, თითქოს უბრძანებს:

— „აბა ჩქარა ჩამოსივი ყურზე თათიო“. გაბრაზდა მიმი, ლამის ეცეს ამ სულელს ცხვირპირში. ახლა კი აღარ შეასრულებს ალდეს თხოვნას, თუგინდ მთელ დღეს ეხვეწონ. „ყავდეს მარტო ეგ აბეზარი ლეკვი, რალაი ეგ ურჩენია ჩემ თავს“.

ალდემ კი კვლავ იდგა მიმის წინ, გაბრწყინებული თვალებით, აწითლებული ლოყებით შესძახოდა მიმის:

— ფისო, ლამაზო ფისო აქეთ მოიხედე, ხვალ თუ კარგი დარია. ფისო, აქეთ მოიხედე, ხვალ თუ კარგი დარია. მოსწყინდა, ალდეს მიმის თხოვნა.

— ეჰ, უხვირო! ხელი ჩაიჭნია, კვლავ ბროლიას დაუბრუნდა. მიმის საშინლად ატკინა გული ასეთმა მოქცევამ.

— ნეტა რა დაუშავე, რათ არიან ასე უკულოები! ნაღვლიანად ჩამოვიდა ძირს და ლასლასით წავიდა, არ უნდოდა თვალზე მომდგარი ცრემლები დაენახებინა ამ აბეზარისათვის.



მიმის ზეიმია, იძულებულია, იყუროს ახლა, იმ აბეზარმა აჯობა, ახლა პატრონი თავს ევლებს, აბა როგორ არ შემოველებიან, ისეთი კნუტი ჰყავს, ისეთი თვალს არ ენახება, სამეფო ქათობით მორთული, ფართოთვალეზიანი, მთელ სახლს ახარებს თავის ცეცქობით, და უხარია მიმის, უხარია, აჯობა, ხომ აჯობა მეტიჩარა აბეზარს!

ბროლია შორიდან უყურებდა მოთამაშე დედა-შვილს. უნდოდა მასაც გაენავარდებია ერთი ნახტომით. გაჩნდა მიმის ბუნავთან.

— არ მომეკარო, არ მომეკარო.— შეჰყვირა მიმიმ, აიფხორა, თავის კნუტს წინ ჩამოეფარა. ბროლიამ სიფრთხილით წაჰკრა თათი კნუტს, გააფთრებული მიმი ეცა ბრკყალებით, ისეთი სიძლიერით ჩაჰკრა, ალბათ თვალს წამოაგდებინებდა, დასხუტვა რომ არ მოესწრო. წკავწკავით გამოიქცა. მის წკავწკავზე შემოვარდა ალდე. ლეკვი ხელში აიყვანა.

— კიდე იჩხუბეთ? რა ვენა, რა დაგემართათ, რა გაქვთ გასაყოფი! რათ მიღიხარ მავასთან, ხომ უყურებ ჯავრობს.

— რა ბოროტია, რა იქნება მეც ვეთამაშო, — ბუზღუნებდა ბროლია და ეკვროდა პატრონს.

* *

— ვაიმე, ვაიმე, მოკვდა, მოკვდა, გაჰკიოდა პატარა ალდე, ცრემლების ფრქვევით თავს დასტრიალებდა კნუტს.

— რა მოხდა, რა ამბავია? — გამოცვივდნენ სახლიდანაც ალდეს უფროსები, ძმა კი, ნაჯახით ხელში, დარცხვენილი იქვე იდგა.

— ეგ ოხერი რაღა აქ მოეხეტებოდა.

— რა დაემართა!

— არ დამინახავს, შეშის ნაპობი მოხვდა, — თავს იმართლებდა ზურა.

— ვაიმე, ვაიმე, აღარ ინძრევა, — კვლავ გაჰკიოდა პატარა ალდე.

— კარგი ახლა, განა ძალით მინდოდა? — ამშვიდებდა ძმაც, ბროლია იქვე დასკუბულიყო, ვერ გაეგო რა მოხდა!

— ამუ, ამუ! რამდენჯერმე შეჰყეფა, თითქოს უნდა წამოაყენოსო, თათი წაჰკრა კნუტს.

— რა დაემართა? — გაიფიქრა და უკან დაიწია, შორიდან დაუწყო ყურება. ხედავს ბროლია, როგორ აიღო ზურამ ბარით კნუტი, მიიტანა ჭიშკართან რომ ნაძვის ხეა, იქ გათხარა ორმო, ჩაავდო შიგ, ზვიდიან მიწა დააყარა. „რალათი ამოვა იქიდან, ან ფისომ როგორღა იპოვოს?“ — ფიქრობდა ბროლია ქკვიან თვალებს და არ აცილებდა პატრონს. წავიდა პატრონი. ბროლია მიტუნტულდა, რამდენჯერმე დაყნოსა მიწას. გარშემო შემოუარა, ორივე წინა თათი გაიშვირა, დაუწყო მიწას ფხოქნა.

— წაეთრიე ახლავე სახლში, — შეუტია ზურამ ბროლიას, და ისიც კუდამოძუებული წავიდა სახლისაკენ.

მიღიროდა ბროლია, თან ფიქრობდა — „რათ ჩაავდეს მიწაში, ხომ ვეღარ ამოვა იქიდან!..“ — შევიდა სახლში, სულ ახლოს ვაწვა მიმის საწოლთან. თვალს არ აცილებდა ცარიელ საწოლს. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა — „რათ ჩაავდეს ბნელ ორმოში პატარა ფისო!. ალდემ როგორ გაიმეტა, ეს იყო მისი სიყვარული? იქნებ მეც ისე მიყოს ზურამ, შენეთ, რა უგულო ყოფილა?“ ფიქრობდა ბროლია აღმაცერად გახედავდა ხოლმე იქვე მდგარ ზურას.



— აი ავერ მიმი მოდის ტკბილი კოუტუნით. ბროლიამ ამის დანახვაზე სული გაიტვრინა — „ნეტავ რას იზამს მიმი?“ მიმიმ დახედა ცარიელ საწოლს. ცელქი პატარა საღმე მიიმალოა.

— მიაუ, მიაუ, — ნელი ხმით დაიძახა მან, მაგრამ მიმის ძახილზე არაფერ გამოცხმალა. შემოიარა ოთახები, თან გაბმით ეძახდა კნუტს. იმედდაკარგული მიმი მივიდა საწოლთან, კვლავ გაბმით დაუწყა კნუტს ძახილი.

— მიაუ, მიაუ! — ბროლია მიუახლოვდა, მიმის რამდენჯერმე შეჰყეფა.

— ამუ, ამუ, უნდოდა გავგებინებინა, მან იცოდა, სად იყო მისი კნუტი. გაბრაზებულმა მიმიმ გადახედა „აბეზარს“. — რა სულელია ეს ოხერი! გაიფიქრა, პასუხი არ გასცა, ისე შეაქცია ზურგი.

ბროლია შეწუხდა, გული ეტკინა, ვერ მიუხედავან თანაგრძნობას. იგრძნო სულელად თვლიდნენ — აბა ახლა დაინახონ, თუ სულელი ვარ. — გაიქცა ნაძვის ხისაკენ. მიმი კვლავ იჯდა საწოლთან, გაბმით უძახოდა დაკარგულ კნუტს.

გახარებული შემოვიარდა ოთახში ბროლია. პირში მკვდარი კნუტი ეკირა. მიიბრინა მიმისთან და წინ დაუდგა, თვალეზში შეხედა მიმის, რამდენიმეჯერ შემოურბინა ვარშემო, მხიარული წკმუტუნით ეუბნებოდა:

— ახლაც სულელი და აბეზარი ვარ? ხომ ხედავ, დაგვხმარე კნუტის მოძებნაშიო. ბზუილით წამოსული ბუზი თათით მოიცილა:

— არ მოეკარო, წყეულო, ხომ ხედავ, ორნი თავს ვადგივართ! მიმიმ ექვის თვალით დახედა კნუტს, ფეხაკრეფით მიუახლოვდა, ფრთხილად შეახო თათი. უჩვეულო სიცივემ შეაკრთო ის. იგრძნო, რაც მომხდარიყო. უკანა ფეხებზე ჩაცუცქდა, მიაჩერდა კნუტის მეორე მხარეს წამოსკუპულ ბროლიას.

ბროლია დაკვირვებით მიაჩერდა მიმის თვალეზში. მიმის ცრემლიანმა თვალეზმა მიახვედრა ყველაფერს, ნაღვლიანად დახედა კნუტს და კვლავ შეხედა მიმის ცრემლიან თვალეზს.

დიდხანს, დიდხანს ისხდნენ მიმი და ბროლია და ჩუმად მისჩერებოდნენ ერთმანეთს თვალეზში.

მიმქალღი

ჩა კარგი გოგონაა!

ტარგი არის ჩენი ნანა,
 ქევიანი და ნაზი,
 უყვარს მღელო, ბაღია, ყანა,
 ვენახი და ვაზი.
 ახლაც ავერ დაფუსფუსებს,
 რწყავს ვარდებს და ხენდროს,
 ხან საკენკით კალთასავსე
 გადასძახის ეზოს:
 „წია, წია, წიწილებო,
 აქ მოგროვდით ყველა!
 ფრთაჯაქვედა ყვიხილებო,
 თეთრო, გულყვითელა!
 ჯიჯი, ჯიჯი, გაქმევთ საკენკს,
 დაგაბუღებთ შვიდალ,

მზე გადასცა ოდის სარკმელს,
 მთები დაიბინდა.
 დოი, დოი, თეთრო ბატო,
 ლელეს რომ მიჰყვებო,
 სად მიდიხარ ასე მარტო,
 რა უყავი სხეებში?“
 ამოირბენს ნანა ურეკს,¹⁾
 ჰგვის და ჭვლის ოჯახს,
 ხან ხბო მოჰყავს, ხან ბატს მორეკს
 გოგო ერთი გოჯა,
 შემდეგ წიგნებს ჩაუჯდება,
 გაშლის კაბის ვალთებს...
 ამისთანა შვილის დედას
 სიხარული ჰმართებს.

¹⁾ ურეკი — ტიპანი აფილია.

604 რაუნაკანი



მელა

1

კელოს დედას ვარიები
 ჭრელა-ჭრული ჰყავს იმდენი,
 რომ ვერც დავთვლი, გულდა-
 დებით
 თვალო, თვალო მთელი დღენი!
 ზოგი ძალზე ლამაზია,
 გულთეთრა და მალაღყელა.
 რა კარგია, როცა დილით
 გარს ეხვევა კელოს ყველა!
 კაკანებზე სამურად:
 «გეშია, გეშია! გენაცვალე,
 დაგვიყარე ეგ საქენკი
 აბა, ჩქარა, აბა მალე!»

2

ახლოს, ხეში, მოწითალო
 ბეწვიანი სქელი ჭურჭით,
 მოკლე ფეხით, ბასრი კბილით,
 ლამაზი და გრძელი კუდით
 ცხოვრობს მელა არხვინად,
 დაცუნცულებს ნელა-ნელა,

ქათმებს იჭერს... წიწილებიც
 ბეჭრი ჩაიგემრიელა,
 ჩვენი კარგი ვარიებიც
 დაინახა... შეუყვარდა,
 ერთ საღამოს კელოს დედას
 შიგ ეზოში შეუვარდა,
 ვარიკელებს ელდა ეცათ,
 აჭეთ ეცნენ, იქით ეცნენ,
 ერთ ვარიას, გულყვითელას,
 მელა ნელა მიაცოცებს.

3

ერთი რაა! ერთ ვარიას
 სამი-ოთხი დააყოლა,
 დაეწვია და ოჯახი
 დაადარდა, დააღონა,
 ბოლოს კელოს უფროსმა ძმამ,
 პიონერმა მკვირცხლმა ტარამ
 საიდნადაც უცნაური
 დიდი მახე მოიტანა,
 და საღამოს, ის ღობესთან,
 ბუჩქნარებში დადგეს ნელა,

იქით უყვე ფეხაკრფით
 და ცუნცულით მოდის მელა

4

ნაწევე ბილიც შეჰყავა მელა,
 მიცუნცულებს ნელა...ნელა...
 ფლანდება ვარიკელა...
 ხანაც დიდი მურიკელა...
 და ხან, თითქოს ეშინია,
 შეწერდებია...წავა ისევ,
 ისევ შედგა, რალაც ესმის...
 ვაიქოლა წამმა ისევ,
 წადვა ბოჯი... «ჩააკ», ორივე
 ფეხით იგი დაიჭირა
 რალაც რკინამ უცნაურმა,
 მელა შეკრთა...დაიყვირა...

5

ტაშისცემით მორბის ტარა,
 კელო მოსდგეს, კიდეც დედაც
 უხარიათ ცუნცულიას
 დაქერა და დამარცხება.



თამუნია



ვდიკო. ასე რომ ფაციფუცობ, სად მიდიხარ? – დანტერესებით შეეკითხა თემო დედას.

– განა შენ კი არ წამოხვალ?

ამ სიტყვებმა თემო კიდევ უფრო დააინტერესა. მეტი სიხარულით თვალები გაუბრწყინდა, დედას შესცქეროდა, იცინოდა წითელი ღოყები ღამაზად უპრიალებდა. ბროლივით ჩაკეცილებული კბილები გაღიმებული ბავიდან ფაქიზად მოუ-

ჩანდა.

– წამოვალ, მაგრამ რომ არ ვიცი სად მიდიხარ?!

– თამუნიასთან. ის ხომ ბანაკშია.

– მინდა... მინდა... მაგრამ როგორია ბანაკი?

– ბანაკი ისეთი ადგილია, სადაც მათალი ხეებია, სუფთა ჰაერი, სადაც ზატყულობით პიონერები ისვენებენ...

თემო სიხარულით შებზიალდა, ახტა, დედის კისერზე უნდოდა მოხვევა.

– ხომ უეჭველად წამიყვან?

– ხელს ნუ შემიშლი, ნუ გამაჯავრებ და წაგოყვან, – უთხრა დედამ.

– მერე ჩემი წითელი ბუმტი? აქ დავტოვო?! ხომ მომპარავენ, – თქვა თემომ!

– არა, ისიც თან წავიღოთ.

თემო უცებ დატრიალდა. სიხარულით ფეხი აღარ ედგა მიწაზე. ის მოუსვენრად დაცანცალებდა აქეთ იქით და წამდაუწუმ იმეორებდა:

– თამუნიასთან მივდივარ... თამუნია უნდა ვნახო...

2.



ემო და დედამისი ერთად ჩასხდნენ მატარებელში. დილა იყო, თუჯა გრილოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ჩამოტყუბოდა. წინ ვაგონში გრილი სიოთავისუფლად დაქროდა. დიდი და პატარა სულ თეთრად იყვნენ გამოწყობილი. შორიდან ფარღალადა ვაგონები ისე ჩანდა, თითქოს

თაიგულებით შეემკათ.

თემო თავისი დაუსრულებელი მუსაიფით მოსვენებას არ აძლევდა დედას. მას მაჩვენებელ თითზე წვრილი ძაფით მოზრდილი წითელი ბუმტი ჰქონდა გამოკბული. ქარი აქანავებდა წითელ ბუმტს და ბავშვი მხიარული თვალებით უცქეროდა მას. ბორჯომის მატარებელი ქართლის დაცემულ მინდორზე გარბოდა.

– დედი, აჰა, ის რაა, ჰაერში რომ მიცოცავს? აი, მეორეც იქიდან მოდის,

– გაოცებით შეეკითხა თემო დედას,

ის თვალს აღარ აშორებდა, პაერში რომ რაღაც ბურთივით მიქროდა. ზგი არც აფროპლანი იყო, თორემ არც ასე ძალიან გაუყვირდებოდა. დედამ გაიცინა.

— შე კაი კაცო, მაგას ვერ მიხვდი?!

— ვერ მიხვდი...

— აქ, შეილო, ცემენტის დიდი ქარხანაა. ამ ქარხანას და იმ გორას შორის, მტკვარგალმა რომ მოჩანს, ბაგირაა გაბმული. იმ გორიდან ბაგირებზე ჩამოკიდებული რკინის გოდრებით მიწა მოაქვთ ქარხანაში.

— რა კარგად მოუწყვიათ. აქ რომ ვცხოვრობდეთ, იმ კალათში მეც ჩაჯდებოდი, — ინატრა თემომ.

მაგრამ თემოს აღტაცება პირდაპირ აუწერელი იყო, როცა მატარებელი ბორჯომის ხეობაში მისრიალებდა. მაღლიდან მწვანე მთა დასცქეროდათ, ძირს კი მტკვარი მიშუოდა. თემო ხან მდინარეს უცქერდა, ხან გრძლად გადმოწვდილ ტოტებს ეთამაშებოდა. მატარებელი ზოგჯერ ტოტებით დაბურულ ხეებს ქვეშ გაისრიალებდა.

— დღეს თუ მივალთ თამუნისთან? იკითხა — თემომ.

— როგორ არა. მალე ბორჯომში ვიქნებით, თამუნისაც ვნახავთ.

3.



აღალი ნაძვის ხეების ქვეშ ბიჭები და გოგონები მწყერჩიტებივით დაცქრიალებდნენ. ხეებში საამურად დასისინებდა გრილი ნიავი. თვალუწვდენელი მაღალი კლდიდან ანკარა ჩახჩახა წყალი მოქუხდა. კლდე ისე მაღალი იყო, წყალი ისე კისრის ტენით მოდიოდა, რომ ძირს თითქოს მარტოლა კურცხლები ცვიოდა.

პატარა მრგვალ მინდორზე ცისფერ აუზში შესანიშნავი შადრევანი შრიალებდა. აუზის ირგვლივ მზით გაწითლებული ბავშვები ტრიალებდნენ, წყლით სავეს აუზში ურევდნენ ხელს და ერთმანეთს ასხამდნენ შხეფებს.

ერთი ჯგუფი ხავერდოვან მოღზე გაწოლილიყო. შუაში ერთი გოგონა იჯდა და რაღაც ახალ წიგნს გატაცებით კითხულობდა.

— დედა, აი თამუნია! — გაოცებით წამოიძახა თემომ.

— სადაა, შეილო!?

— აჰა! — გაუშვირა ხელი ჯგუფად მსხდომ ბავშვებისაკენ.

თემომ დედას აღარ დაუცადა და სირბილით გაექანა თავის საყვარელ დაიკოსთან, თან მისძახოდა: თამუნია, თამუნიაო!

თამუნია გაიგონა თუ არა თავისი ძმის ხმა, ზეზე წამოვარდა, გაშლილი წიგნი ძირს დადო და მისკენ გაექანა. პატარა და-ძმა მხურვალედ გადაეხვია ერთმანეთს.

— გოგო, თამუნია, რას დამგვანებია, რამ გავასუქა ასე?

— დედიკო, აქ ძალიან კარგად გვივლიან. აქ სუყველაფერი ბევრია. აი რა კარგი სიგრილეა, რა შშვენეირი შადრევანებია...

დედამ თამუნის ხელი გადახვია კისერზე. ისინი მწვანე მდელოზე მიდიოდნენ ხეების ქვეშ. თემომ საიდანღაც ისევ გამოაფრინა თავისი წითელი ბუშტი, ისევ თითზე გამოიბა და თავის დედიკოს წინ კვიცივით დაკუნტრუშებდა, თანაც თამუნის აჯავრებდა:

- აი მე რა კარგი ბუშტი მაქვს!
- თემო, რომ წახვალ, ხომ დამიტოვებ?
- არა, შენ თუ გინდა, დედიკო გიყიდის.

თემო კარგა დაწინაურებული იყო, უყვებ შენერდა და ძაფს იმაგრებდა თით-ზე. უყვარდა ხელიდან გაუსხლტა ძაფი. ბურთი ტორტმანით წავიდა ზევით. თემო ატირდა და კატასავით შესცქეროდა მაღლა.

ბავშვის ტირილი უცნაური ზარივით გაისმა. ბანაკში ტირილის ხმა არასოდეს არ გაეგონათ, ამიტომ ბავშვები ყოველი კუთხიდან გადმოოცივდნენ და აღრიალებულ თემოსთან მიირბინეს. ბავშვს დედა ამწვიდებდა, მაგრამ ის მაინც არ ცხრებოდა.

- რა მოგივიდა, რატომ სტარი? - ეკითხებოდნენ გარშემო შემოხვეული ბავშვები.

თემო პასუხის ნაცვლად ისევ ტირილს აგრძელებდა.

- ბუშტი გაუფრინდა, ა, აჰა, სად მიდის, - უთხრა მათ თამუნამ.

წითელი ბუშტი ლამაზად ქანაობდა. კარგა მაღლა რომ ავიდა, მაღალი ხეების ტოტებში გაიხლართა.

- გაჩუმდი, ძამიკო, ახლავე ჩამოგიტან, - თქვა ერთმა ბიჭმა და თვალის დახამხამებაში ხეზე აცოცდა.

თემო ახლა ტირილის მაგიერ იცინოდა, ლოყებზე ბროლის მძივებივით ეკიდა ცრემლები. რამდენიმე წუთის შემდეგ თემო კვლავ თითზე გამობმული ბუშტით მიქროდა, და ჯგუფად შეგროვილი პიონერები სიცილით უცქეროდნენ მას.



სანდრო ქლანგი

წინილა




წია, წია, მაგ წიწინში
დღეს სულ მაინც ვეღარ გიცან,
ოქროსფერი ფაფუკ ღინღლით
ფუნჩულა და ერთი ციციქა.

წია, წია, ხომ არ გშია,
რომ უმატებ უფრო წიწინს
და, რა ვიცი, ჩვენი კრუხიცი
თავს გვეღება ლამაზ წიწილს...

მითხარ, ერთი, რად იწუნებ
სუფთა ფეტვის ამდენ მარცვალს?
თუ სხვასავით შენაც გინდა
ქექო მიწა საკმლის ნაცვლად?!

გატყობ, რაც არ გიაშება
პატარას და თანაც თოთოს,
მაშ ქუეკებთან იყავ აქ და
მე მოვხარშავ ქინკრის ფოთოლს.
ჯუჯუ, ჯუჯუ, ჩემო წიწი,
შიგ ავურევ ფქვილს და შაქარს,
ოღონდ ტკბილად შეექვცი,
შენი იყოს ჩემი კაკაც.
მხოლოდ ნულარ გამაგონებ
მაგ ხმასა და უშნოდ წიწინს...
„წია-წია“ არ შეშვენის
შენისთანა ლამაზ წიწილს.



წიგნიდან „აფრიკის ტყეებში“

რითაც შემძლო, ვანოს გაუუმასპინძლდი. ბევრი არაფერი მქონდა: შვლის ხორცი, ბანანი¹ და...კეთილი სურვილი. ვანოს მეტიც არ უნდოდა, ამითაც დიდად კმაყოფილი იყო. ორივეს გულწრფელად გვიხაროდა. რვა დღის დაშორების შემდეგ აფრიკის ულრან ტყეში კვლავ შეეხვდით ერთმანეთს, მაგრამ რა პირობებში! ვანოს მოგონება ყრუანტელს ჰგვრის. ერთი საათის წინ ველურებს მოსაკლავად მიყავდათ. საბედნიეროდ, მე შემხედნენ, და მეგობარი დალუპავს გადავარჩინე. სამწუხაროდ, პატარა მაიმუნი კი მომიკლეს.

ხის ჩრდილში ვიჯექით, ხორცს მადიანად შევექცეოდით და განვლილ ბრძოლაზე ვსაუბრობდით. ტოტზე მობუზული მაიმუნი საბრალოდ ჩამოგვეყურებდა, შვილის დაკარგვას ნაღვლობდა, ადამიანივით ოხრავდა და კვნესოდა. მარტოველარ გაძლო, ჩვენთან ჩამოკოცდა. ბანანი მივეცი და მოვეფერე. მაგრამ მას აღარაფერი ახარებს. მოფერებამ უფრო ააკვნესა და აატირა. ვანოსთან დავამეგობრე. ვანომ ჩქარა მოინადირა მისი გული, ადვილად შეიჩვია. ტყუილად კი არ იყო ზოოლოგიაში გაწვრთნილი.

მაიმუნს მანანა დავარჩიეთ. პატარა მანანამ, როგორც შემდეგ მკითხველი გაიგებს, ბევრჯერ გავვიწია დიდი სამსახური.

როდესაც კარგად დავეწნარდით, გადავწყვიტეთ სხვა ადგილას თავშესაფარის მოძებნა: გვეშინოდა, რომ ველურებს თავდასხმა არ გავმეორებინათ.

გამოვეთხოვე ჩემს ხეს, რომელმაც რვა დღე თავის ტოტებში შემიფარა, გავსინჯე იარაღი და გაუუდქით გზას. მანანაც თან წავიყვანეთ. რიგრიგობით ვზიდავდით, ხან ჩემს კისერზე იყო წამოსკუბული, ხან ვანოსაზე.

წინადღით თუ მარტო ვავლის მეშინოდა და საექვო ხმაური მაფრთხობდა, ახლა ვანოს გვერდით უშიშრად და გულმაგრად მივაბიჯებდი. რა ძნელი ყოფილა მარტოობა, ისიც ულრან ტყეში...

გზადაგზა მშვენიერ ნაყოფს—ბანანს და ჩვენებური ქლიავის მსგავს ხილს ვკრეფდით. ხილის დასაკრევად მანანას ავაგზავნიდით ხეზე, ვანომ საოცარი სისწრაფით გაწვრთნა; ავიდოდა რომელიმე ხეზე და თან მანანას აიყვანდა, კრეფდა ხილს და ყრიდა ძირს. მანანაც ამასვე იმეორებდა. რამდენიმე გაკეთილის შემდეგ ისე გაიწაფა მანანა, რომ საქმარისი იყო დავექმახა: აბა, მანან, ხეზე! და ისიც მარდად ავარდებოდა, და მწიფე ნაყოფი ძირს უხვად ცვიოდა. მართალია,

¹ ბანანი გემრიელი და სურნელოვანი ნაყოფია, ადამიანისათვის ფრიად მარგებელი. მოყვანილობით კიტრს ემსგავსება. იგი მაიმუნების ერთერთი მთავარი და საყვარელი საკვებაა.

ჩვენს მანანა, ხანდახან მწიფეს მაგივრად მკვასხეს გვიკრფელა, მაგრამ ამისათვის პატარა მეგობარს როგორ ვაწყენებდით. ეს მას ზედმეტი გულმოდგინებით მოსწონდა, ჩვენს სიამოვნებას კლილობდა...

ტყიდან რომ გამოვედით. ხელმარჯვნივ შამბნარი გამოჩნდა. შამბნარს იქით მდინარის წელი ხმაური ისმოდა. მდინარის ხმაურმა გაგვახარა. სიცხისაგან ხანა გამომშრალი გვქონდა და საშინლად გვწყუროდა. აჩქარებული ნაბიჯით მდინარისაკენ გადავსრინდით.

უეცრად უკანიდან შემოგვესმა რაღაც შრიალი. მივტრიალდით, მაგრამ ვერაფერი შევამჩნიეთ. გონიერება გვიკარნახებდა, რომ შევჩერებულყავით და უფრო მივხედდით. რამდენიმე წამის შემდეგ შრიალი კვლავ გამოვრდა, მაგრამ არა უკანიდან, როგორც წინან მოგვეჩვენა, არამედ ჩვენთან სულ ახლოს, გვერდით, სადაც შამბები ოდნავ ირხეოდა, ჩვენსკენ მოდიოდა.

— ვანო, ფრთხილად, აქ რაღაც არის! — წამოვიძახე და არემარეს სწრაფად თვალი მოვაკლეთ. შორიახლოს ბორცვი მოჩანდა. ერთ წუთში მასთან გავჩნდით.

მოხერხებულად ჩავსაფრდით და თოფი მოვიმარჯვე. ვანოს რევოლვერი მივეცი; თუ მე ავაცუნდი, მას უნდა ესროლა. ყოველი შემთხვევისათვის ამოღებული ხანჯალი წინ დავიდეთ. მანანამაც იგრძნო საშიშროება, ბალახებში ჩაიმალა და გაინახა.

კოტა ხნის შემდეგ შამბებიდან გამოფორთხდა უზარმაზარი ნიანგი და ჩვენსკენ აჩქარებით წამოვიდა. ეტყობოდა, მსხვერპლი შეემჩნია და მოისწრაფოდა, რომ თავისი საშინელი კბილები ჩვენზე ესინჯა. თავი და ბოლო მალლა აფშვირა და მწვანე მინდორზე ნაცრისფერ ხომალდით მოსრიალებდა. ოცნაბიჯზე მოუშვენი. მერე კი მისი ვანიერი მკერდი მიზანში ამოვიღეთ. გავარდა თოფი და იმავე წამს ნიანგი ყალყზე აიშართა, დაალო თავისი საზარელი ხანა და ისეთი ხრიკილი ამოუშვა, რომ ჭრუანტელმა დაგვიარა. მერე მოწყვეტით ძირს დაასკდა და ბოლოთი მიწას აჩქარებით დაუწყო ცემა, სიკვდილს შეებოძოდა. მარჯვედ გასროლილ ტყვიას შიგ გულში გავეცლო. ფრთხილად მივუახლოვდით. უზარმაზარი სხეული მიწაზე გართხმულიყო, მკერდიდან და პირიდან მოშავო სისხლი სდიოდა, ღორის თვალები ამღვრეოდა და უძრავად გაშტერებოდა. ბოლოს ოდნავი მოძრაობა მოწმობდა, რომ სიცოცხლე ჯერ კიდევ არ გამქრალიყო. მეორე ტყვიამ საშიში ცხოველი სამუდამოდ დააძინა.

შამბებთან ახლოს მისვლა სასიფათო იყო: შეიძლება იქ სხვა ნიანგი იყო ჩასაფრებული, ნიანგებს ხომ ჯოგურად უყვართ ცხოვრება.



არა, სჯობს შორიდან მოვლა და ადგილზე მშვიდობით მისვლა...



შამშებს შორიდან ჩაუვარეთ. ჩქარა სასურველი მდინარეც გამოჩნდა. ოჰ, რა მომხიბლავი და თვალწარმტაცი იყო მისი ნაპირები!

ამწვანებული ბუნება შემკობილი იყო მრავალფეროვანი ყვავილებით. რა ფერს არ იხილავდა აქ კაცი! თოვლივით თეთრი, ცისფერი, ალისფერი, წითელი, ლურჯი და სხვა ფერები ერთიმეორესა ცვლიდა. ზოგი ყვავილები აქრელებული კაბებით იყვნენ შემოსილნი და ფერად-ფერადი ზოლებით დამშვენებული. აქა-იქ მოჩანდა მშვენიერი ბანანი თავის ვეება მწვანე ფოთლებით და ქარვისფერი ნაყოფით. აყვავებულ ნაპირებს ავირგვინებდა ქოქოსის და ფინიკის პალმები.

ეს მშვენიერი ბუნება ისეთ სურნელოვანებას აკმევდა, რომ მე და ვანომ წარმოუდგენელი სიამოვნება ვიგრძენით.

ოჰ, რა მშვენიერი სანახაობაა! — წამოიძახა ალტაცებით ვანომ და მდინარისაკენ ბავშვური ზტომით გაინავარდა. თან მანანა გაიტაცა. მეც მათ ხალისიანად ავედევნე.

დიდხანს ვიყავით ანკარა წყალზე დაწაფებულნი. წყალიც ისეთივე გემრიელი და მშვენიერი იყო, როგორც მისი ნაპირები. მანანა მოსვენებას არ გვაძლევდა, უკან გვეწეოდა, ალბათ ვშინოდა არ დაიღრჩონო...

მდინარის ცოტა დაშორებით დიდი ხეები მოჩანდა. ერთ ხეზე შეიძლება თავისუფლად დამის გათევა, მხოლოდ საქირო იყო საწოლის გაკეთება. ბევრი არ გვიფიქრია: ხანჯლით დაკეპრით ტოტები, ერთმანეთს მაღალი ბალახის ღეროებით გადავებით და სახელდახლოდ შეგვკარით საწოლი. ზედ ღეიბად ბლომად გავშალეთ სურნელოვანი ბალახი.

საწოლი დიდ ხეზე ავიტანეთ და განიერ ტოტებზე მოხერხებულად დავაკარით. სამივე კარგად მოვეწყვეთ. ახლა უკვე თავისუფლად შეგვეძლო მოსვენება. მაღალ ხეზე ნადირი ვერაფერს დავაკლებს. საშიშია მხოლოდ ჯიქი. მას ხეზე ასვლა არ გაუჭირდება. რა გავწყობა, ფრთხილად უნდა ვიძინოთ. თუმცა მანანა ხომ ჩვენთან არის, ის ჩქარა გაიგებს მტრის მოახლოებას და დროზე გაგვადიძებს...

მზის ჩასვლისთანავე ჩქარა დაღამდა. ასე იცის აფრიკაში. დღის სიციხე დამის სიგრილემ შეცვალა. ფრინველთა გალობაც თანდათან მიწყნარდა. ჰერს მხოლოდ მდინარის ნელი ხმაური არხეხს და აღამიანს ძილს ჰგვრის... შორს, შორს ლომის ღრიალი გაისმა. ნადირთა მეფე სანადიროდ გამოსულა.

— ვანო, გძინავს? — შევეკითხე, მაგრამ პასუხი არ იყო. დაქანცულ მეგობარს ტკბილად ჩასძინებია. მანანასაც მშვიდად სძინავს. მხოლოდ მე ვერ ვერ ვიძინებ. შევეყურებ ვარსკვლავებით მოქარგულ ცას და ვფიქრობ. რაზე? დაკარგულ ამხანაგებზე. ალბათ დაგვეძებნენ. გვიპოვიან კი? ნეტავ, რა მოგვეღლის ხვალ? ფიქრი მიწყდება, ვგრძნობ, ძილი ფრთხილად მიახლოვდება...

არაჩვეულებრივი წვიმები

ვის არ უნახავს სტეფა, წვიმა, მაგრამ ყველამ არ იცის და არც დაიჯერებს, რომ ჩვეულებრივი წვიმის გარდა ბუნებამ არაჩვეულებრივი წვიმებიც იცის — თევზების, ბაყაყების, კალიების წვიმები. უხსოვარ დროში ასეთი ბუნებრივი მოვლენები სასწაულად მიაჩნდათ და ხალხი სასოწარკვეთილი და შეშინებული მოელოდა რაღაც უცნაურობას. ყველაზე უფრო კი აშინებდათ ეგრეთწოდებული სისხლის წვიმები, რომლის წვეთები ღია წითელი ფერისა იყო. რა არის მიზეზი მათი წარმოშობისა? მიზეზი ბევრი. ერთერთი მიზეზთაგანი ის არის, რომ დედამიწის სხვადასხვა ნაწილი ერთნაირად არ თბება. ყველას ეცოდინება, რომ ქვიშიანი ადგილები უფრო ხურდება, ვიდრე ველი, რომ ხმელეთი უფრო თბება, ვიდრე ტბები და ზღვები. რადგან ჰაერი სითბოს მზისგან გამთბარი დედამიწიდან იღებს, ამიტომ ჰაერის ქვედა ფენები ზევით მიდის, უფრო მძიმე ცივი ჰაერი ქვევით ეშვება, ამრიგად ხდება ჰაერის მოძრაობა და ჩნდება ის, რასაც ქარს ეწოდებთ. ჰაერის მოძრაობა ხანდახან ისეთი ძლიერია, რომ ქარიშხლად გადაიქცევა, რომლის სიძლიერე ხშირად ძირფესვიანად გლეჯს ხეებს, სახლების სახურავებს და სხვა. ამისთანა ქარიშხალს გრიგალი ეწოდება. ყოფილა შემთხვევები, რომ გრიგალს გაუცამტვერებია მთელი სოფლები, ქალაქები. გრიგალი ბზრიალასავით ტრიალებს. ძლიერი გრიგალი ხშირია ჩრდილო ამერიკაში. ამ დროს ხალხი სარდაფებში იმალება.

საშინელი გამანადგურებელი გრიგალი იცის უდაბნოში.

გრიგალი ზღვაზედაც ხშირია. აქ აიტაცებს ქარი წყალს, გააჩენს დაგრებილ წყლის სვეტს და ხშირად თან წაიყოლებს თევზებსაც.

გრიგალისავე ძალით წარიტაცებიან დედამიწიდან პეპლები, კალიები, ბაყაყები. როდესაც გრიგალი შეწყდება უდანაშაულოდ დასჯილი ცხოველები დედამიწაზე ეშვებიან ცოცხალი წვიმის სახით.

მაგრამ უფრო გასაკვირველი წვიმაც ევლინება დედამიწას. ერთხელ ჩვეულებრივი წვიმის შემდეგ წითელმა წვეთებმა იწყო ცვენა და „სისხლის“ წვიმა დაუშვა. აქა-იქ გაჩნდა წითელი ნიავღვარი და გუბეები. ხალხი შეშინდა. მღვდლები ამობდნენ: ცა განრისხებულია, სისხლის წვიმა მოგვივლინა და ქვეყანას ბოლო ეღებო. ცრუმორწმუნე ხალხს სჯეროდა მღვდლების მიერ შეთხზული ზღაპარი და ხელაპყრობილი ღოკულობდა შეწყდა „სისხლის“ წვიმა და არავის არავითარი ზიანი არ მიაყენა. მეცნიერულმა გამოკვლევამ „სისხლის“ წვიმაში წითელი მიწა აღმოაჩინა. გამოირკვა, რომ აფრიკიდან წამოსულ გრიგალს წამოელო ღია წითელი ფერის უამრავი მტვერი, გადაეტანა შორს და ჰაერში მიმოებნა. მოსულმა წვიმამ ეს წითელი მტვერი ჩამორეცხა, — ასე გაჩნდა „სისხლის“ წვიმა და წითელი ნიავღარი.

ბუნებამ ზოგჯერ ქვის წვიმაც იცის. ქვის ნამსხვრევები ხმაურითა და გრგვინით ცვივა მიწაზე.

როგორ ჩნდება ქვის წვიმა?

შორს, შორს, უპაერო სივრცეში ხშირად რკინისაგან შემდგარი უამრავი მაგარი სხეულია გაბნეული. ასეთ სხეულებს მეტეორები ეწოდება. დედამიწაში თან მიახლოებისას, დედამიწის მიმზიდველობის გამო, მეტეორი წარმოუდგენელი სისწრაფით ეშვება დედამიწისაკენ და ატმოსფეროში იჭრება. იგი საშინელი ძალით აპობს ჰაერს, ხახუნის გამო ხურდება, გავარვარებულ სხეულად იქცევა და ანათებს, თანაც უკან თავის გზაზე გავარვარებულ ჰაერის ნაკადს ტოვებს, თითქოს ერთი წამით ნათელი კვალი დატოვაო. ამ მოვლენას ხალხი „ვარსკვლავის მოწყვეტას“ ეძახის. მეტეორი უმეტეს შემთხვევაში ნამცეცხბად, მტვრად იშლება და დედამიწაში ვერც კი აღწევს, ზოგჯერ კი უზარმაზარი ლოდის სახით ვარდება და იფლავება ქვესკნელში. რამდენიმე წლის წინათ ასეთი მეტეორი ციმბირის ტაიგაში ჩაიძარხა. ბევრი ეძება მეტეორმა კულიკმა და ბოლოს, როგორც იყო, მიაგნო მის კვალს. კუნძულ გრენლანდიაზე ჩამოვარდნილ მეტეორიდან ესკიმოსები რკინას პოულობდნენ. ზოგჯერ მეტეორი წვრილწვრილად იმსხვრევა, სანამ დედამიწაზე მოაღწევდეს, და ქვების სახით ცვივა. ასეთ შემთხვევაში ამბობენ ქვის წვიმა მოვიდაო.

მეტეორის ჩამოვარდნათან ნაირნაირი ცრუმორწმუნეობაა დაკავშირებული. მაგალითად, არაბეთში, ქალაქ მექაში, უხსოვარ დროში ჩამოვარდნილი შავი ქვა-მეტეორი ახლაც თაყვანისცემის საგნადაა მიჩნეული, „ცის ქვას“ ბნელეთის მოციქულნი — მღვდლები, მოღვები და სხვები — „ღვთიურ მოვლენად“ აღიარებენ და ხალხში ცრუმორწმუნეობას ავრცელებენ.



ბავშვთა შემოქმედება

ფურნალ „ოქტომბრული“ № 5-ში გარეკანის მე-4 გვერდზე მოთავსებული სურათის მიხედვით შედგენილი მოთხრობა.

მშენებელი გაზაფხულის დღე იყო. ათასნაირი ჩიტები და პეპელები მხიარულად ტყრილებდნენ ცის უსაზღვრო მოწყმენილ ჰაერში. ამ დროს ერთი მალაღობი ტყის გვერდით განმარტოებულად მდგარ სახლის ეზოში ბავშვები მხიარულად თამაშობდნენ.

მალა, ცისკენ აზიდული ხეების ქვეშ სამი ბავშვი მხიარულად ატარებდა დროს. რამდენიმე წუთის წინათ ისინი დიდის ინტერესით ერთობოდნენ ტყიანობაში, ახლა ეს ტყიანი გვერდზე მიეგდოთ და დიდი გულმოადგილებით თამაშობდნენ ბურთს.

დროგამოშვებით სამი ფაქიზი წკრიალა ხმა არღვევდა დაღუპებულ მთის მყუდროებას. ხეების შრიალი მუსიკასავით ენმატკბილებოდა ამ სამი ლალი ბავშვის ხმას. ისინი მღეროდნენ ჩვენ ბედნიერ ქვეყანაზე, დიდ სტალინზე და განხმარტო ისინი? ასე ბედნიერად და მხიარულად მღერის ჩვენი დიდი სამშობლოს ბედნიერი ნორჩი თაობა, იგი უმღერის საყვარელ ძიას, დიდ სტალინს.

0*ა 633:4030

ჩელაის სკოლი სამ. სკოლის V კლ. მოსწავლე



656

სიტყვები მიმკრალისა

მუსიკა თამარ შვერვაშვილისა

Moderato

Piano.

ნა-ნა ჩე-მო ცი-ცუ-ნა ნა-ნა ვე-ნაყ-ვა-ლე-ზი

ჩა-ნა-ნი ვე-თაყ-ვა ნე-აყ-ქვი-ცუ ყუ-რე-ზი

დასასრული.

pp *poco a poco* *crescendo* *pp* *Fine*

ნანა, ჩემო ციცი, ნანა, გენაცვლები, როცა დაგიძინებ, ნახე სიზმარს შშვენიერს, } 2ჯერ

ნანა, ჩემო ციცი, ნანა, გენაცვლები, გაიღვიებ, ბატარა, ჩაიგუტებოლებ, ენასა. } 2ჯერ

ნანა, ჩემო ციცი, ნანა, გენაცვლები, ეხლა კი დაიძინე, ნანა, შენსა ლებნასა. } 2ჯერ